საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 287
30/11/2022

287-2-4-202211301758

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/1) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ,,სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.2022 წლის 29 ნოემბერს შეიქმნას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი #2/1) განმხილველი საექსპერტო კომისია 6 (ექვსი) წევრის შემადგენლობით:

ა) ნინო თარხარ-მოურავი - თეატრისა და კინოს მსახიობი;
ბ) გიგა ლიკლიკაძე - რეჟისორი;
გ) ნიკა გუგუშვილი - პროდიუსერი;
დ) გიორგი ბარაბაძე - პროდიუსერი, რეჟისორი;
ე) ქეთევან ჯაფარიძე - კინომცოდნე;
ვ) გრიგოლ მიქელაძე - კინოს და თეატრის მხატვარი

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. ბრძანება ძალაშია სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ- გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი